



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ვ ა მ ტ ბ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

10 11
„-----“ 2016 წელი

ვგზ N2

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში N66/36

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
მნიშვნელოვან საკითხთა აბზაცი.....	5
სხვა საკითხთა აბზაცი	6
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	11

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

რეგულირების საფასური

სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების „ახსნა განამარტებითი შენიშვნების მიხედვით“, ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვიდან 2004-2007 წლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანება შეადგენს 583,558 ლარს². აღნიშნული თანხა შედგება შემდეგი კომპანიების დავალიანებებისგან:

ორგანიზაციის დასახელება	2004	2005	2006	2007	სულ დავალიანება
სს „საქნავთობი“ (სს„საქგეოსერვისი“)	152,569	146,125	143,839	53,086	495,619
შპს „საქნავთობი-სამგორი“ (სს„საქკავსერვისი“)	21,117	23,208	1,381	-	45,706
შპს „თერჯოლა-ოილი“	16,630	-	-	-	16,630
შპს „ვივა“	16,630	-	-	-	16,630
შპს „ვაზოილი“	8,973	-	-	-	8,973
სულ რეგულირების საფასური	215,919	169,333	145,220	53,086	583,558

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ „ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოში“ აღნიშნული დებიტორული დავალიანების შესახებ პირველადი დოკუმენტებიდან, ხელმისაწვდომია მხოლოდ 2005-2006 წლებში სს „საქნავთობსა“ და შპს „საქნავთობი სამგორისათვის“ გადასახადის დარიცხვის დამადასტურებელი, სააგენტოს ბუღალტრული სამსახურის მიერ შედგენილი მემორიალური ორდერები და რეგულირების საფასურის ფორმები - სულ 314,553 ლარი. დანარჩენი ინფორმაცია რეგულირების საფასურის შესახებ ამოღებულია საგამოძიებო სამსახურების მიერ³. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია სააგენტოში არსებულ პირველად დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვიდან წარმოშობილი დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.

წელი	მემორიალური ორდერი #9 (ლარი)	რეგულირების საფასურის ფორმა (დოლარი)
სს „საქნავთობი“ 2005-2006	289,964	161,981
შპს „საქნავთობი სამგორი“ 2005-2006	24,589	13,561
სულ	314,553	175,542

2005 წელს სს „საქნავთობსა“ და სააგენტოს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომლის მიხედვით სს „საქნავთობის“ დავალიანება შეადგენდა 171,171 ლარს, ამის შემდგომ ამ ორ ორგანიზაციას შორის შედარების აქტი არ გაფორმებულა. სააგენტოს 2015 წლის ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით სს „საქნავთობის“ დებიტორული დავალიანება შეადგენს 495,619 ლარს.

² სსიპ ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2002 წლის 8 მაისის N3 და 2003 წლის 29 სექტემბრის N13 ბრძანებები.

³ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ 2007 წლის 24 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს N11ა/11088 ბრძანებით ამოღებული იქნა 2003 წლიდან 2007 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

სს „საქნავთობისა“ და შპს „ვიკა“-სგან მიღებული წერილების თანახმად⁴, სს „საქნავთობი“ და „შპს „ვიკა“ არ აღიარებენ დავალიანებას სამინისტროს მიმართ. ხოლო შპს „ვაზოლისთვის“ გაგზავნილი წერილი სამინისტროს უკან დაუბრუნდა კომპანიის მოუძიებლობის გამო.

2015 წელს სააგენტოს მიერ მოცემული დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული პროცესები არ განხორციელბულა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

მნიშვნელოვან საკითხთა აბზაცი

ბუღალტრული აღრიცხვა

სსიპ „ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო“ საკუთარი სახსრებით გაწეულ ხარჯებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახავს არა 7000 ანგარიშზე არამედ 6000 ანგარიშზე, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429-ით დამტკიცებულ ინსტრუქციასთან „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“.

ძირითადი აქტივების ცვეთა

ენერგეტიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ძირითად აქტივებზე დასარიცხი ცვეთის ნორმა რამდენიმე შემთხვევაში განსხვავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439⁵-ით გათვალისწინებული ცვეთის ნორმებისაგან, კერძოდ:

⁴ წერილი N4 20.02.2015

⁵ 2002 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439 "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

დასახელება	გამოყენებული ცვეთის ნორმა	ცვეთის ნორმა (ბრძანება 439)	დარიცხ. ცვეთა (1)	ბრძანება 439- ით დასარიცხი ცვეთა (2)	სხვაობა (1- 2)
ა/მ სუზუკი SX4	11.2%	13.0%	3,333	3,869	(536)
ა/მ სუზუკი ჯიმი	11.2%	13.0%	3,058	3,549	(491)
ა/მ სუზუკი ჯიმი	11.2%	13.0%	3,058	3,549	(491)
უპილოტო საფრენი ვიდეოკამერა	10.0%	10.1%	499	504	(5)
ყავის ელექტროსახარში	10.0%	8.0%	175	140	35
მობილური სამსუნგ გალაქსი	8.0%	10.0%	136	170	(34)
ვიდეო კამერა სონი	12.0%	10.1%	74	63	12
მარშრუტიზატორი კარადით	5.3%	10.0%	78	147	(69)
მიკროტალღური ღუმელი	10.0%	8.0%	15	12	3
მობილური ტელეფონი ერიქსონი	8.0%	10.0%	76	96	(19)
სენდვიჩის აპარატი	10.0%	8.0%	22	17	4
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	10.0%	8.0%	129	103	26
ქსელის მარშრუტიზატორი-სვიჩი	5.3%	10.0%	187	352	(165)
პროექტორი ქენონ-7260	6.6%	10.0%	184	278	(95)
პროექტორი საკიდით ჰიტაჩი	6.6%	10.0%	401	607	(206)
პროექტორი - ოპტიმა X316	6.6%	10.0%	86	130	(44)
ჯამი					(2,075)

სხვა საკითხთა აბზაცი

შრომის ანაზღაურება

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის მომუშავეთა რიცხოვნობა 114 სამტატო ერთეულით დაიგეგმა. შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 2,200,000 ლარით. აღსანიშნავია, რომ მთელი წლის განმავლობაში ვაკანტური თანამდებობების რაოდენობამ 30 ერთეული შეადგინა, საიდანაც 27 წარმოადგენს საკონკურსო შტატს⁶. ამ პოზიციებზე 2015 წელს კონკურსი არ გამოცხადებულა. მიუხედავად ამისა, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, მეოთხე კვარტალში სხვა ქვეპროგრამიდან თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით გადმოტანილი 183,000 ლარის ხარჯზე 2,383,000 ლარამდე დაზუსტდა, რის შედეგადაც გაწეულმა საკასო ხარჯმა 2,382,981 ლარი შეადგინა და გადააჭარბა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს. აღნიშნული ვაკანტური თანამდებობების არსებობით „თანამდებობრივი სარგოს“ ქვემუხლში წარმოქმნილმა ეკონომიამ 2015 წელს 360,132 ლარი შეადგინა, რაც გამოყენებულ იქნა აპარატის თანამშრომლების მატერიალური წახალისების მიზნით.

კოდი	დასახელება	საბოლოო წლიური დამტკიცებული გეგმა	წლიური დაზუსტებული გეგმა	წლიური საკასო ხარჯი
36 01 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის გატარება	2,200,000	2,383,000	2,382,981
	შრომის ანაზღაურება	2,200,000	2,383,000	2,382,981

⁶ 3 შტატი: მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის თანაშემწე და მინისტრის თანაშემწე - მდივანი, არ არის საკონკურსო და ინიშნება მხოლოდ მინისტრის უფლებამოსილებით.

პრემია და დანამატი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატში 2015 წელს გაცემული პრემია, 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 420,637 ლარით, ხოლო დანამატი გაზრდილია 434,432 ლარით. 2015 წლის პრემიისა და დანამატის ჯამური თანხა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 13,796 ლარით, ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოში 2015 წელს პრემია შემცირებულია 116,282 ლარით ხოლო დანამატი გაზრდილია 104,680 ლარით.

სამინისტროს აპარატში დანამატი განისაზღვრა მინისტრის 2015 წლის 13 იანვრის N01 ბრძანების საფუძველზე. ბრძანების დანართში წარმოდგენილ 75 საჯარო მოხელეს ყოველთვიურად, 2015 წლის ბოლომდე დაუწესდა დანამატი ჯამში 72,620 ლარის ოდენობით. თუმცა 2015 წლის 5 აგვისტოს, აღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ბრძანების დანართში გათვალისწინებული საჯარო მოხელეთა რაოდენობა 79-მდე გაიზარდა.

სააგენტოში 2014 წლის 29 დეკემბრის სააგენტოს უფროსის N11/150 ბრძანებით 29 თანამშრომელს განესაზღვრა დანამატი ჯამში 19,780 ლარის ოდენობით.

სამინისტრო				
	2014		2015	
	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	38,465	2,710	-	74,163
თებერვალი	66,200	2,710	-	73,980
მარტი	82,590	2,710	-	73,980
აპრილი	74,640	-	-	73,980
მაისი	74,740	5,420	-	74,212
ივნისი	76,340	-	-	74,861
ივლისი	-	74,840	-	74,980
აგვისტო	-	80,720	-	75,575
სექტემბერი	86,800	75,200	61,079	75,780
ოქტომბერი	-	75,200	-	75,147
ნოემბერი	88,350	73,430	98,450	76,225
დეკემბერი	99,940	72,500	107,900	76,989
სულ	688,065	465,440	267,429	899,872

სააგენტო				
2014			2015	
	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	7,720	-	-	16,480
თებერვალი	7,920	-	-	16,480
მარტი	38,020	-	-	17,280
აპრილი	26,320	-	27,878	17,280
მაისი	29,220	-	-	17,280
ივნისი	26,945	-	-	17,280
ივლისი	-	-	-	17,280
აგვისტო	-	33,960	-	17,280
სექტემბერი	9,700	16,980	28,210	17,280
ოქტომბერი	-	16,980	-	17,280
ნოემბერი	25,555	16,980	-	17,280
დეკემბერი	50,540	16,180	49,570	17,280
სულ	221,940	101,080	105,658	205,760

ქვემოთ ცხრილში მოცემულია 2015 წელს სამინისტროს უმაღლესი მენეჯმენტისთვის საშტატო წუსხით განსაზღვრული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო და მათი ფაქტობრივი ანაზღაურება (ხელფასი, დამატი, პრემია).

თანამდებობა	ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო	წლის განმავლობაში აღებული თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი	სულ
მინისტრი	3,540	42,480	-	32,520	75,000
მინისტრის მოადგილე	2,720	31,280	5,440	66,000	102,720
მინისტრის მოადგილე	2,720	32,640	5,440	66,000	104,080
მინისტრის მოადგილე	2,720	32,640	5,440	66,000	104,080
სააგენტოს უფროსი	2,720	32,640	5,168	48,960	86,768
სააგენტოს უფროსის მოადგილე	2,500	30,000	4,750	30,000	64,750
სულ	16,920	201,680	26,238	309,480	537,398

მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობა

შრომის ანაზღაურება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მიხედვით, შრომის ანაზღაურების მუხლით 2015 წელს გაწეული საკასო ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 2015 წელს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურება 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 28,993 ლარით. ხოლო შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურება 3,097 ლარით.

წელი	ორგანიზაციული კოდი	ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი	საკასო ხარჯი შტატით	საკასო ხარჯი შტატგარეშე
2014	36 01 01	შრომის ანაზღაურება	2,353,989	46,028
2015	36 01 01 01	შრომის ანაზღაურება	2,382,982	49,125
სხვაობა			28,993	3,097

ავტომანქანებზე გაწეული ხარჯები

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მიხედვით, როგორც სამინისტროში ასევე სააგენტოშიც საწვავის საკასო ხარჯი 2015 წელს უნდა შემცირებულიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე არანაკლებ 30%-ით.

ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის მიერ 2015 წელს საწვავზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 115,550 ლარი და 21.8%-ით შემცირდა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც მთავრობის განკარგულება N422-ით დადგენილ მაქსიმალურ ლიმიტს აჭარბებს 12,103 ლარით.

სააგენტოს 2015 წლის საწვავის საკასო ხარჯმა შეადგინა 25,440 ლარი და 20.8%-ით შემცირდა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც მთავრობის განკარგულება N422-ით დადგენილ მაქსიმალურ ლიმიტს აჭარბებს 2,949 ლარით.

ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება“

ენერგეტიკის სამინისტროს „ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების“ ქვეპროგრამიდან (36 01 03) ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის ქვეპროგრამაზე (36 01 01 01), თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით, 2015 წლის 11 ნოემბერს გადატანილ იქნა 183,000 ლარი. ჯამურად წლის განმავლობაში აღნიშნული ქვეპროგრამიდან (36 01 03) სხვადასხვა ქვეპროგრამებზე ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით გადატანილმა სახსრებმა 745,686 ლარი შეადგინა. აღნიშნული ქვეპროგრამის საკასო ხარჯი 2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილს.

წელი	საბოლოო წლიური დამტკიცებული გეგმა	წლიური საკასო ხარჯი
2015	7,000,000	4,309,615
2014	6,000,000	3,268,300

პროგრამული ბიუჯეტის ინდიკატორები

ენერგეტიკის სამინისტროს ქვეპროგრამა „მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება“ არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, კერძოდ მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი არ სრულდება 2015 წელს, პროგრამის შუალედურ და საბოლოო შედეგად ერთი და იგივე ინფორმაცია არის მოცემული, ასევე ერთი და იგივეა შუალედური და საბოლოო შეფასების ინდიკატორებიც.

<i>მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (36 01 02)</i>	
<i>პროექტის განმახორციელებელი</i>	<i>საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო</i>
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს გაზიფიცირების მე-2 ეტაპის სამუშაოების დაწყებას, კერძოდ: საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირებას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	113 სოფლის გაზიფიცირება ; ბუნებრივი აირის პოტენციური 32 904 ახალი აბონენტი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	113 სოფლის გაზიფიცირება ; ბუნებრივი აირის პოტენციური 32 904 ახალი აბონენტი

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბესიკ ქოჩიაშვილი

(წამყვანი აუდიტორი)




გიორგი ხითარიშვილი

(აუდიტორი)



თენგიზ თევდორაძე

(აუდიტორი)



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება
ფორმა N1 ბალანსი

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

აქტივები	ნაშთი წლის ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისათვის
მოკლევადიანი აქტივები	2,011,982	2,374,158
ფულადი სახსრები	373,282	252,547
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,592,185	2,075,053
სხვა მატერიალური მარაგები	46,515	46,558
გრძელვადიანი აქტივები	127,933,244	91,652,414
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	109,261,911	85,193,585
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	332,861	300,114
ძირითადი აქტივები	18,338,472	6,158,715
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-
ბალანსი	129,945,226	94,026,572
ვალდებულებები	ნაშთი წლის ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისათვის
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,070,145	1,028,145
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	1,070,145	1,028,145
კაპიტალი	128,875,081	92,998,427
აქტივების წმინდა ღირებულება	128,470,998	92,708,924
გაუნაწილებელი მოგება	404,083	289,503
დაუფარავი ზარალი	-	-
ბალანსი	129,945,226	94,026,572

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო წელი			საანგარიშო წლის წინა წელი
	ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	149,741,272	-	149,741,272	168,660,109
შემოსავლები	13,831,497	491,114	14,322,611	3,350,959
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	13,791,663		13,791,663	-
სხვა შემოსავლები	39,834	491,114	530,948	3,350,959
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	-
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	18,000	-	18,000	18,682
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა	21,834	-	21,834	2,808,622
გრანტებისა				
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	491,114	491,114	523,655
სულ	163,572,769	491,114	164,063,883	172,011,068
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	2,902,829	230,010	3,132,839	3,081,867
საქონელი და მომსახურება	1,195,576	141,368	1,336,944	1,122,365
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	356,643	5,006	361,649	331,602
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	8,906,361	-	8,906,361	7,638,768
გრანტები	23,855,866	-	23,855,866	3,589
სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	23,128
სხვა ხარჯები	18,872,590	150	18,872,740	77,299,446
რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	-
სულ	56,089,865	376,534	56,466,399	89,500,765
ფინანსური შედეგი	107,482,904	114,580	107,597,484	82,510,303

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	35,762,074	114,580	-	35,876,654
კორექტირებები:	10,506,607	6,722	71,553,114	82,066,443
<i>ცვეთა (+)</i>	356,643	5,006	-	361,649
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	10,182,524	-	71,553,114	81,735,638
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	43	-	-	43
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(32,747)	-	-	(32,747)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	144	1,716	-	1,860
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	46,268,681	121,302	71,553,114	117,943,097
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	467,156	567	-	467,723
ძირითადი აქტივები	467,156	567	-	467,723
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(467,156)	(567)	-	(467,723)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(45,801,525)	-	(71,553,114)	(117,354,639)

წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(45,801,525)	-	(71,553,114)	(117,354,639)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	-	120,735	-	120,735
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	-	252,547	-	252,547
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	-	373,282	-	373,282
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა(-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	92,708,924	289,503	92,998,427
არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
არასაოპერაციო ხარჯები	71,560,805	-	71,560,805
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	71,560,805	-	71,560,805
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	160,026	-	160,026
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	160,026	-	160,026
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	107,482,905	114,580	107,597,485
ნაშთი წლის ბოლოს	128,470,998	404,083	128,875,081

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივ ი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	20,650,000	20,603,494	-0.23	31,919,478	54.92	56,089,865	24,170,387
მათ შორის:							
შრომის							
ანაზღაურება	2,720,000	2,903,000	6.73	2,902,829	-0.01	2,902,829	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	70,000	1,030,386	1371.98	467,156	-54.66	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	93,580,000	93,200,000	-0.41	117,354,639	25.92	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	0.00	-	0.00	-	-

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N1- ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	-	252,547
მიმდინარე ანგარიში არასაბიჯეტო სახსრებისათვის	1230	373,282	-
სხვა საგადასახადო აქტივი	1358	433	433
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	420	564
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	1,007,681	1,488,689
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	93	93
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	-	1,716
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	583,558	583,558
აქციები და სხვა კაპიტალი	1520	109,261,911	85,193,585
II. არაფინანსური აქტივები			
ფულადი დოკუმენტები	1625	-	3,746
სათადარიგო ნაწილები	1626	18,344	8,542
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	28,172	34,270
არასაცხოვრებელი შენობები	2112	13,656,101	2,355
გაყვანილობის სისტემები	2118	692,356	2,172,675
სატრანსპორტო საშუალებები	2121	553,762	730,010
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	405,767	463,497
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	8,658	2,790,178
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	3,021,827	-
ტექნიკა	2210	49,034	51,798
ინვენტარი	2220	283,827	248,316
სულ აქტივები		129,945,226	94,026,572
ვალდებულებები და კაპიტალი			
III. ვალდებულებები			
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	440,000	440,000

არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	42,000	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	680	680
სხვა გადასახდელები	3244	2,496	2,496
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	1,411	1,411
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	583,558	583,558
წმინდა ღირებულება	5100	128,470,998	92,708,924
გაუნაწილებელი მოგება	5220	404,083	289,503
სულ პასივები		129,945,226	94,026,572
საცნობარო მუხლები			
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	1,351,308	1,351,308
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	140,974	99,498
ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	1,440,318	1,440,318
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	48,017	46,453

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N2 - ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით		საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო		ფაქტობრივი	
	ბიუჯეტი	ეკონომ. საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომ. საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომ. საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომ. საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომ. საქმიანობა
1. შემოსავლები		450,000		450,000				491,114	13,831,497	491,114
1.2 გრანტები	-	-	-	-	-	-	-	-	13,791,663	-
1.3 სხვა შემოსავლები	-	450,000	-	450,000	-	-	-	491,114	39,834	491,114
1.3.3 სანქციები,ჯარიმები,საურავები	-	-	-	-	-	-	-	-	18,000	-
1.3.4 ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა	-	-	-	-	-	-	-	-	21,834	-
1.3.5 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	450,000	-	450,000	-	-	-	491,114	-	491,114
2. ხარჯები	20,650,000	440,000	20,603,494	440,000	32,047,079	369,812	31,919,479	369,812	56,089,866	376,534
2.1 შრომის ანაზღაურება	2,720,000	263,200	2,903,000	263,200	2,902,834	230,010	2,902,830	230,010	2,902,830	230,010
2.1.1 ხელფასები	2,720,000	263,200	2,903,000	263,200	2,902,834	230,010	2,902,830	230,010	2,902,830	230,010
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	263,200	-	263,200	2,902,834	230,010	2,902,830	230,010	2,902,830	230,010
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	-	-	1,674,484	-	1,674,481	-	1,674,481	-
2.1.1.1.3 პრემია	-	-	-	-	328,478	24,250	328,477	24,250	328,477	24,250
2.1.1.1.4 დანამატი	-	-	-	-	899,872	205,760	899,872	205,760	899,872	205,760
2.2 საკონელი და მომსახურება	1,550,000	171,800	1,550,000	171,800	1,360,923	139,652	1,233,328	139,652	1,195,576	141,368
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	-	52,275	77,200	49,125	77,200	49,125	77,200
2.2.2 მივლინებები	-	-	-	-	266,235	20,008	243,089	20,008	243,089	21,724
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	-	-	495,807	12,771	431,903	12,771	396,248	12,771
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	-	-	86,427	4,455	86,427	4,455	85,644	4,455
2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები	-	-	-	-	258,862	24,593	223,650	24,593	226,716	24,593

2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	201,317	625	199,134	625	194,754	625
2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	-	-	-	356,643	5,006
2.4 პროცენტი										
2.5 სუბსიდიები	11,100,000		10,870,494		8,906,361		8,906,361		8,906,361	
2.6 გრანტები	10,000		10,000		4,370		4,370		23,855,866	
2.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	-	-	10,000	-	4,370	-	4,370	-	4,370	-
2.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	-	-	-	-	-	-	-	-	23,851,496	-
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	18,000	-	18,000	-	-	-	-	-	-	-
2.7.2 სოციალური დახმარება	18,000	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	18,000	-	-	-	-	-	-	-
2.8 სხვა ხარჯები	5,252,000	5,000	5,252,000	5,000	18,872,591	150	18,872,590	150	18,872,590	150
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	-	-	18,872,591	150	18,872,590	150	18,872,590	150
2.8.2.1 მიმდინარე	-	-	-	-	142,505	150	142,504	150	142,504	150
2.8.2.2 კაპიტალური	-	-	-	-	18,730,086		18,730,086		18,730,086	

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N3 - ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით		დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო	
	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
1. არაფინანსური აქტივების ზრდა	70,000	10,000	1,030,386	10,000	891,926	567	467,156	567
1.1 ძირითადი აქტივები	-	10,000	-	10,000	891,926	567	467,156	567
1.1.1 შენობა-ნაგებობები	-	-	-	-	849,455	-	424,685	-
1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	-	-	-	-	849,455	-	424,685	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	10,000	-	10,000	42,471	567	42,471	567
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	10,000	-	10,000	42,471	567	42,471	567
2. არაფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-	-

დანართი N4 - ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით		დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო	
	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
1. ფინანსური აქტივების ზრდა	93,580,000	-	93,200,000	-	117,753,103	-	117,354,639	-
1.1 საშინაო	-	-	93,200,000	-	117,753,103	-	117,354,639	-
1.1.3 სესხები	-	-	69,200,000	-	97,753,103	-	93,354,650	-
1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	24,000,000	-	20,000,000	-	23,999,989	-
2. ვალდებულებები ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-
3. ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-	-

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N5 - ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება						გასვლა						
	ნაშთი წლის დასაწყისი სათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებები თ	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით	გრანტები თ	სხვა შემოსავლები თ	*სხვა მიღებები	არასა ოპერა ციო ხარჯ ები	აქციები სა და სხვა კაპიტა ლის სახით	გრანტები თ	ძირითა დი კაპიტა ლის მოხმარ ება	საქონე ლი და მომსახ ურები თ	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის (პერიოდი სთვის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	46,559	-	240,348	-	-	-	-	-	-	-	240,392	-	46,515
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	3,746	-	121,953	-	-	-	-	-	-	-	125,699	-	-
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	8,542	-	36,922	-	-	-	-	-	-	-	27,121	-	18,343
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	34,271	-	81,473	-	-	-	-	-	-	-	87,572	-	28,172
2. ძირითადი აქტივები	6,158,715	648,078	182,770	13,791,663	39,834	2,864,096	2,642	68,338	2,049,960	391,622	-	2,834,123	18,338,471
2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	2,355	-	-	13,791,663	-	-	-	-	-	137,917	-	-	13,656,101
2.1.8 გაყვანილობის სისტემები	2,172,675	648,078	-	-	-	-	-	-	2,049,960	24,850	-	58,588	692,355
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	730,010	-	-	-	21,834	-	-	68,338	-	129,744	-	-	553,762
2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	463,497	-	43,038	-	-	-	2,642	-	-	98,126	-	-	405,767
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,790,178	-	-	-	-	-	-	-	-	985	-	2,780,535	8,658

2.4.1

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	-	139,732	18,000	2,864,096	-	-	-	-	-	-	3,021,828
----------------------------------	---	---------	--------	-----------	---	---	---	---	---	---	-----------

3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	300,114	41,250		5,050				3,453		332,861
4. ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
5. არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

დანართი N6 - ორგანიზაციის ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	არასოპერაციო შემოსავლები კრედიტი (8100)	არასოპერაციო ხარჯები დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები	-	71,553,114
სესხები	-	71,553,114
ფინანსური ვალდებულებები	-	-

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N 8 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში შეძენა და სხვა სახით მიღება				საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციიდან გასვლა და სხვა სახით გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება/ექსპლუატაცია	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება/ექსპლუატაცია	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება	17	730,010	-	-	2	21,834	-	-	1	68,338	248,243	81,503	140,990	25,750	251,309	85,237	141,002	25,070
სულ:																		
მათ შორის																		
მსუბუქი	3	94,077	-	-	1	5,931	-	-	-	-	43,440	19,427	18,403	5,610	43,440	19,427	18,403	5,610
ჯიპები და პიკაპები	14	635,933	-	-	1	15,903	-	-	1	68,338	204,803	62,076	122,587	20,140	207,869	65,810	122,599	19,460

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N 9 - ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული დებიტორულ დავალიანებათა შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	სულ	2004	2005	2006	2007	2008-2010	2011	2012	2013	2014	2015
შემოსულობები (დარიცხვით წარმოქმნილი დავალიანებები)	583,558	215,919	169,333	145,220	53,086	-	-	-	-	-	-
სხვა შემოსავლები	583,558	215,919	169,333	145,220	53,086	-	-	-	-	-	-
საქონელი და მომსახურება	946	-	-	-	-	-	93	-	-	433	420
მივლინებები	526	-	-	-	-	-	93	-	-	433	-
ოფისის ხარჯები	420	-	-	-	-	-	-	-	-	-	420
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,007,681	-	-	-	-	-	-	-	-	680,726	326,954
სულ	1,592,185	215,919	169,333	145,220	53,086	-	93	-	-	681,160	327,374

დანართი N 10 - ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	სულ	1996-2003	2004	2005	2006	2007	2008-2010	2011	2012	2013	2014	2015
შრომის ანაზღაურება	2,091	2,091	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სუბსიდიები	440,000	-	-	440,000	-	-	-	-	-	-	-	-
საქონელი და მომსახურება	440,000	-	-	440,000	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ხარჯები	586,054	2,496	215,919	169,333	145,220	53,086	-	-	-	-	-	-
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	586,054	2,496	215,919	169,333	145,220	53,086	-	-	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შეძენა	42,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	42,000
ძირითადი აქტივები	42,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	42,000
სულ	1,070,145	4,587	215,919	609,333	145,220	53,086	-	-	-	-	-	42,000

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N 11 - ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

N	ორგანიზაციის დასახელება	დებიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი	შენიშვნა
1	შპს „მაგთიკომი“	420	2/19/2015	ავანსი	1431	ოფისი
2	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	40,727	12/23/2014	ავანსი	1432	არაფინანსური აქტივების ზრდა
3	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	199,969	12/1/2015	ავანსი	1432	არაფინანსური აქტივების ზრდა
4	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	126,985	12/1/2015	ავანსი	1432	არაფინანსური აქტივების ზრდა
5	შპს „ნიუ სენტერი“	640,000	12/4/2014	ავანსი	1432	არაფინანსური აქტივების ზრდა
6	მივლინება	93	5/16/2011	ავანსი	1461	მივლინებები
7	სს „საქნავთობი“	495,619	2004-2007	დარიცხული რეგულირების საფასური	1480	სხვა შემოსავლები
8	შპს „თერჯოლა-ოილი“	16,630	2004-2007	დარიცხული რეგულირების საფასური	1480	სხვა შემოსავლები
9	შპს „საქნავთობი-სამგორი“	45,706	2004-2007	დარიცხული რეგულირების საფასური	1480	სხვა შემოსავლები
10	შპს „ვივა“	16,630	2004-2007	დარიცხული რეგულირების საფასური	1480	სხვა შემოსავლები
11	შპს „ვაზოილი“	8,973	2004-2007	დარიცხული რეგულირების საფასური	1480	სხვა შემოსავლები
12	საშემოსავლო გადასახადი	433	12/31/2014	ზედმეტობა	1358	მივლინებები
ჯამი		1,592,185				

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დანართი N 12 - ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ კრილში

საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

N	ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი	შენიშვნა
1	შპს „ნიუ სენტერი“	42,000	2/5/2015	მ/ჩ აქტი	3220	ძირითადი აქტივები
2	სს „ინჟინერი“	440,000	9/6/2005	სააღსრულებო ფურცელი	3210	სუბსიდიები
3	შრომის ანაზღაურება	2,091	2000-2003	დარიცხული	3243 - 3251	შრომის ანაზღაურება
4	სოციალური გადასახადი	2,496	2000-2003	დარიცხული	3244	სხვა ხარჯები
5	სს "საქნავთობი"	495,619	2004-2007	გადასახდელი რეგულირების საფასური	3286	სხვა ხარჯები
6	შპს "თერჯოლა-ოილი"	16,630	2004-2007	გადასახდელი რეგულირების საფასური	3286	სხვა ხარჯები
7	შპს "საქნავთობი-სამგორი"	45,706	2004-2007	გადასახდელი რეგულირების საფასური	3286	სხვა ხარჯები
8	შპს "ვივა"	16,630	2004-2007	გადასახდელი რეგულირების საფასური	3286	სხვა ხარჯები
9	შპს "ვაზოილი"	8,973	2004-2007	გადასახდელი რეგულირების საფასური	3286	სხვა ხარჯები
ჯამი		1,070,145				